



# ლექსი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №3 (191) მარტი 2026

გიგი იოსავა

მარიამ ხარჩილავა

## იყო და არა იყო რა, იყო ნანა ჭორჭაძის „მებთიდიოთი“



ზღაპრისეული თბრობა, ეს რეჟისორ ნანა ჭორჭაძის ხელწერაა, მისი ყველა ფილმი, თითქოს, ერთი სამყაროს სხვადასხვა შემადგენელი ნაწილია

გვ. 2-3

ინა ინასარიძე

## ლატავრა ფორიანის როლი სახემსრულებლო ხელთვნებაში



„მოცეკვავემ იმ დროს უნდა დატოვოს სცენა, როცა ჯერ კიდევ აღტაცებაში მოჰყავს პროფესიული მაყურებელი“

გვ. 5-6

დიანა მიქელაძე

## რაცენზია ფილმში „მიფრინავან წართაბი“

„მიფრინავენ წეროები“ არის ერთგულებისა და სიყვარულის ოდა, თუმცა, ამავე დროს, პირადი ბედის ნგრევის ტრაგიკული სურათი, რომელიც დიდი სამამულო ომის ფონზე ვითარდება.

გვ. 8-9

## ქალის როლი ქართულ ქორეოგრაფიაში (ელენე (ლილი) გვარამაძე)



„ქართული ცეკვა საქართველოს ისტორიაა, - წერდა იგი, - რომელიც ქორეოგრაფიის ენით მოგვითხრობს ჩვენი ერის წარსულზე, რომელშიც აირეკლება ქართველი ხალხის სულიერი სიმდიდრე“.

გვ. 3-5

მაგდალინა ნიკოლეიშვილი

## TIME OF THE GYPSIES (ბოზათა ჟაში) UNDERGROUND (იაბაკაშვილი)



თითოეული მათგანი გვთავაზობს უნიკალურ პერსპექტივას სოციალურ ცვლილებებსა და პიროვნულ

ბრძოლაზე იუგოსლავიის ღრმად ფესვგადგმული კულტურისა და ისტორიის კონტექსტში.

გვ. 7-8



# იყო და არა იყო რა, იყო ნანა ჯორჯაძის „მეტეოიდოტი“



*„ლიტერატურულ ტყუილებს ჩვენ ვაქცევთ სიმართლედ, მკითხველები, რომლებიც ინფიცირებულიები ვართ იმით, რომ მხატვრული ლიტერატურით კითხვის ქვეშ დავაყენოთ ჩვენი მოსაწყენი რეალობა“.*

*მარიო ვარგას ლიოსა*

განა რა არის მთავარი ლიტერატურული ტყუილი, თუ არა ზღაპარი, ჯადოსნური და გამოგონილი სამყარო, რომელშიც ვცდილობთ, ერთი მხრივ, გავექცეთ იმ სტანდარტულ და ერთფეროვან რეალობას, რომელშიც ვცხოვრობთ და, მეორე მხრივ, ვიპოვოთ იმ არარეალურ ატრიბუტებში ის გასაღები, რომელიც გაგვიხსნის კარს რეალობის კომპლექსურობისაკენ, რათა გავხადოთ რეალობა მეტად საინტერესო და „მოცაღეობის“ ჟამს მასზე ფიქრი იყოს არა მტანჯველი, არამედ - სასიამოვნო და შემეცნებითი საქმიანობა.

ზღაპრისეული თხრობა, ეს რეჟისორ ნანა ჯორჯაძის ხელწერაა, მისი ყველა ფილმი, თითქოს, ერთი სამყაროს სხვადასხვა შემადგენელი ნაწილია, რომელშიც მთავარი პერსონაჟები, სიყვარულითა და სიცოცხლის ვნებით სავსენი, უშვებენ შეცდომებს და შემდეგ დარდობენ ამ შეცდომებზე ან არც დარდობენ და ცდილობენ, ყურადღება არც კი მიექციონ.

„მეტეოიდოტი“, ან, როგორც მას ინგლისურ თარგმანში უწოდეს „Rainbowmaker“ (ცისარტყელისმქნელი), ნანა ჯორჯაძის ნაკლებად აღიარებული ფილმია, როგორც წესი, იხსენებენ შემდეგებს: „რობინზონიადა, ანუ ჩემი ინგლისელი პაპა“, „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“, „ზაფხული, ანუ 27 დაკარგული კოცნა“, ან თუნ-

დაც 1980-იანი წლების ახალი საფიქრალით ანთებული ქართული კინოს ერთ-ერთ პირველ ნიმუშს „მოგზაურობა სოპოტში“, მაგრამ იშვიათად ახსენებენ მერაბ ნინიძის განსახიერებულ ჯადოქარს, რომელსაც არც კი სჯერა, რომ ჯადოქარია, რომ ცისარტყელისმქნელია, თუმცა, კარგად ხვდება

და დარწმუნებულია, რომ ნამდვილი მეტეოიდოტი. მაგრამ, რეალურად, არის ის გმირი და ჯადოქარი, რომლის შესახებაც ბავშვებს უყვებიან ძილის წინ, თუ იდიოტი, რომელსაც ყველა დასცინის და არავინ იხსენებს, რადგან გასახსენებელი არც არაფერი აქვს.

პასუხი კი გამოცდილ მაცურებელს, რომელიც ინტელექტუალური სულისკვეთებით არის განმსჭვალული, ნახოს ქართული საავტორო კინოს ერთ-ერთი მთავარი რეჟისორის ფილმი, მკაფიო და ცხადი აქვს, რომ მერაბ ნინიძის პერსონაჟი, დათო, არის ორივე.

დათო ხომ იგივე დავითია, და პირიქით.

დათო მორიგი მეტეოსასჯელიდან სახლში ბრუნდება, სადაც მას მამის მუდმივ მოლოდინში მყოფი შვილები ელოდებიან, ამ მოლოდინის მთავარი წყარო კი დათოს მამა - გიორგია. ბავშვები ისმენენ გმირულ ისტორიებს მამაზე, რომელმაც სუპის ჭამით შეძენილი ძალით გადადგა მთები, დაამარცხა ცხრათავიანი დევეები ისე, რომ ერთი ნაკაწრიც არ მიუღია. გიორგი ის მეზღაპრეა, რომელიც შვილის სიყვარულით და შვილიშვილების გაზრდის პასუხისმგებლობით ხატავს გმირს, გმირს, რომელსაც არ აქვს ნაკლი, არის უძღვეველი და სასურველი ყველგან, ყველასთვის. შემდეგ დათო ჩამოდის, სუსტი კაცი, რომელსაც შვილები პირველად მძინარეს, საბნიდან ფეხგამოყოფილს, ნახავენ და არ იჯერებენ, რომ ეს მათი მამაა, ის გმირი, რომლის დაბრუნებაზეც ყოველდღე ოცნებობდნენ. დათოს ცოლი ელენეც მას არაფრად აგდებს და საცოლედ ებარება გოლიათური გარეგნობის,

◀ 2 გვ.

უხვთმიან რუსს, რომელსაც შეუძლია, დათო ერთი მუშტის მოქნევით დაანარცხოს მიწაზე.

მას შემდეგ, რაც ინგლისურ თეატრში შეიქმნა მითი შექსპირის შესახებ, ლიტერატურაში პერსონაჟები დაიყო ორ ნაწილად – „ოდისევსურ“ და „ჰამლეტურ“ პერსონაჟებად, ქმედების ძალით გაჯერებულ ოდისევსებად და უძლურ ჰამლეტებად.

ფილმში „მეტეოიდოტი“ დათო ორივე სახეხატის წარმომადგენელია, რომელიც მთელი ფილმის განმავლობაში აიწონა-დაიწონასავით მოქმედებს, ხან დავითი შინაგანად ბობოქრობს, რომელიც მზად არის, ელენესთან დასალაპარაკებლად ჩხუბში ჩაერთოს რუს გოლიათთან, ხან კი თავის თავს ამცირებს და რამაზ ჩხიკვაძის პერსონაჟის, მამა გიორგის, წარმოდგენას, მამაკაცის არსის შესახებ, თავისგანსამართლებელი პათეტიკით პასუხობს, რომ „ახლა სხვა დროა“.

გარდა იმ ზოგადობისა, რაც ნანა ჯორჯაძის „მეტეოიდოტს“ მსოფლიო კინომატოგრაფიის ბრწყინვალე ნიმუშად აქცევს, არის წმინდად ქართული ამბავი, რადგან „მეტეოიდოტი“ არის ისტორია საქართველოზე, ზღაპრული ძალით გამარჯვებულ თუ გადარჩენილ საქართველოზე. სუსტი კაცი, რომელსაც ცოლს წაართმევს რუსი გოლიათი; გეცნოთ? თეიმურაზ ხევისთავისა და მარგო ნახევისთავარის ისტორია? რომლის ერთ-ერთი

ფესვიც, რა თქმა უნდა, ვეფხისტყაოსანში იმალება, ტარიელის სასოწარკვეთილ უძღურებაში, რომელიც გაიმარჯვებს, გაიმარჯვებს ქმედების ძალით გაჯერებული ავთანდილის წყალობით. ნანა ჯორჯაძეც, რუსთაველის მსგავსად, მეტად ოპტიმისტურ ფინალს გვთავაზობს.

მას შემდეგ, რაც დათოში აიწონა-დაიწონა ოდისევსისკენ გადაიხრება, ის მიდის ელენეს გამოსახსნელად, რომელიც მიემგზავრება იმ მაგიური სოფლისმაგვარი ქალაქიდან, სადაც ყველანი ცხოვრობენ. რეჟისორი არ გვიჩვენებს კონკრეტულად როგორ, თუმცა, გვანახებს დათოს ქმედების ძალის ნებას; „დავითს“, რომელიც მზად არის, შეერკინოს გოლიათს, „ოდისევსს“, რომელიც მზად არის, გამოიხსნას ელენე, „ავთანდილს“, რომელიც ცხენზე შეჯდომას სთხოვს მის ძმობილ ტარიელს. დათო იმარჯვებს, როგორც ძველ საბერძნეთში იმარჯვებდნენ ღმერთების სასწაულებრივი ჩარევით ღვთისსადარი პერსონაჟები.

შემდეგ კი არის ოჯახი, იდილია, ბავშვები, რომლებსაც უყვართ მამა, რომლებსაც გაზრდიან მშობლები და ბაბუა, რომელიც მზად არის, მშვიდად და ბედნიერად გაჰყვეს სიკვდილს.

გივი იოსავა

## ქალის როლი ქართულ ქორეოგრაფიაში

(ელენე (ლილი) გვარამაძე)

ლილი გვარამაძე დაიბადა 1913 წლის 21 ოქტომბერს თბილისში. იგი კარგად არის ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის, როგორც სახელგანთქმული ბალერინა, ცეკვა „ქართულის“ უბადლო შემსრულებელი, საქართველოს სახალხო არტისტი, ქართული ცეკვის ფენომენის პირველი მკვლევარი. დაწყებითი ქორეოგრაფიული განათლება მარია პერინის კერძო საბალეტო სტუდიაში მიიღო, სადაც იგი 1922-1928 წლებში სწავლობდა, ხოლო პროფესიულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ეზიარა ლენინგრადის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში იმ დროისათვის ცნობილი პედაგოგის, აგრიფინა ვაგანოვას, ხელმძღვანელობით; 1943 წელს კი დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1930-1948 წლებში მოღვაწეობდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, სადაც ასრულებდა მთავარ პარტიებს ქართულ, რუსულ და ევროპულ საბალეტო დადგმებში. მის მიერ შესრულებული პარტიებიდან გამორჩეულია: „ოდეტა ოდილია“, „გედების ტბა“, „ფასკუნჯი“, „დონ-კიხოტი“, „ესმერალდა“, „წითელი ყაყაჩო“.

ქართული რეპერტუარებიდან: „მანიჟე“ ანდრია ბალანჩივადის ბალეტში „მთების გული“ და „ციალა“ შალვა თაქთაქიშვილის ბალეტში „მალთაყვა“. თეატრში მოღვაწეობის პერიოდში, ეროვნული საბალეტო სპექტაკლების გარდა, პრიმა-ბალერინა წარმატებით გამოდიოდა ქართულ ოპერებში: ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, იონა ტუსკიას „სამშობლო“, აკაკი ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღი“, ვიქტორ დოლიდის „ქეთო და კოტე“ და პირველ ქართულ კინოკონცერტში „ჯურღაის ფარი“. ლილი გვარამაძე ხშირად მართავდა დამოუკიდებელ სოლო კონცერტებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, საბალეტო ნომრებთან ერთად, წარმატებით ასრულებდა „ქართულს“, „დავლურს“, „მთიულურს“, „უზუნდარას“, „მოხეურს“ და სხვა ქართულ ცეკვებს. როგორც კლასიკურ, ისე ეროვნულ ბალეტებში მის წარმატებას ყოველთვის განაპირობებდა მსახიობის მაღალი საშემსრულებლო ტექნიკა, ნატიფი გრაცია, სილალე და გარდასახვის დიდი

▶ 4 გვ.

◀ 3 გვ.

უნარი. ქართულ ხალხურ ცეკვებში მას პარტნიორობას უწევდა გამოჩენილი ქართველი მოცეკვავე ჯანო ბაგრატიონი.



1960-65 წლებში ლილი გვარამაძე კულტურის სახლთან არსებულ საბალეტო სტუდიას ხელმძღვანელობდა. 1966-71 წლებში შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში ასწავლიდა სასცენო მოძრაობას. დიდა მისი დამსახურება კლასიკურ ქორეოგრაფიაში, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მისი, როგორც მკვლევარისა და მეცნიერის, ღვაწლი ქართული ხალხური ქორეოგრაფიის სფეროში. მან დიდი წვლილი შეიტანა ქორეოგრაფიის შენარჩუნება-განვითარებაში. იგი ქართული ფოლკლორული ცეკვებისა და მსოფლიო ქორეოგრაფიის შესახებ არსებული არაერთი მონოგრაფიისა და სტატიის ავტორია. ასევე თარგმნა ქართულ ენაზე ვაგანოვას წიგნი „კლასიკური ცეკვის საფუძვლები“. მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა ქართულ ქორეოგრაფიას, მის კვლევას, მეცნიერულ შესწავლას. იგი აქტიურად იყო ჩაბმული ხალხური შემოქმედების მოვლა-პატრონობის, მისი სიწმინდის დაცვის სამსახურში. თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში პროფესორობის პერიოდში, სიცოცხლის ბოლო წუთებამდე, ლილი გვარამაძე საინტერესო შემოქმედებითად ცხოვრობდა.

1945 წელს მოსკოვში ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ქართული ხალხური ცეკვის წარმოშობა და მორფოლოგია“, ხოლო 1966 წელს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ხარისხის დასაცავად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტის სპეციალიზებულ სამეცნიერო საბჭოზე წარადგინა დისერტაცია თემაზე „ქართული საცეკვაო ფოლკლორი“.

„ქართული ცეკვა საქართველოს ისტორია, - წერდა იგი, - რომელიც ქორეოგრაფიის ერთ მოგვითხრობს ჩვენი ერის წარსულზე, რომელშიც აირეკლება ქართველი ხალხის სულიერი სიმდიდრე“. 1957 წელს გვარამაძემ გამოაქვეყნა ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული ხალხური ქორეოგრაფია“, რომელშიც აშუქებს ქართული ცეკვის გენეზისს, მისი ჩასახვისა და განვითარების პრობლემებს. 1962 წელს მან გამოსცა პირველი პროფესიონალი მოცეკვავის, ალექსი ალექსიძის (სონღულაშვილის) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მონოგრაფიული ნაშრომი „მთაწმინდელი მოცეკვავე“, რომელშიც ალექსიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ყველაფერი დეტალურადაა მოთხრობილი. 1964 წელს გამომცემლობა „ნაკადულმა“ რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოაქვეყნა ლილი გვარამაძის შრომა „ქართული ხალხური ცეკვის ზოგიერთი სპეციფიკური თავისებურების შესახებ“. გარდა ამისა, მას გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი სტატია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთსა და ენციკლოპედიაში, რომელშიც განხილულია ქორეოგრაფიის ისტორიულ-მხატვრული ასპექტები. ქალბატონი ლილი წლების მანძილზე უძღვებოდა საქართველოს კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედებისა და კულტურის სამეცნიერო ცენტრის ქორეოგრაფიულ სექციას; იყო ცეკვა „ქართულის“ არაერთი რესპუბლიკური კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე, ქართული ცეკვის კულტურის საკითხებზე მოწყობილი სამეცნიერო თუ თეორიული კონფერენციების, სემინარების, შემოქმედებითი ლაბორატორიების მომხსენებელი და აქტიური მონაწილე თბილისისა და მოსკოვში, ბათუმსა და ლენინგრადში...

პროფესორ ლილი გვარამაძის წიგნი „ქართული ხალხური ქორეოგრაფია“ მკითხველისათვის ცნობილია ჯერ 1956 წლის ქართული, ხოლო შემდეგ - 1985 წლის რუსული გამოცემით („ქართული საცეკვაო ფოლკლორი“). აღნიშნული გამოცემები კარგა ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და სულ უფრო და უფრო ძნელად ხელმისაწვდომია სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის. ეს მასალა ნამდვილი საგანძურია ქართული ცეკვის ისტორიით დაინტერესებული ადამიანისთვის.

1959-1972 წლებში გვარამაძე მუშაობდა სერგო ბაქარაძის სახელობის თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში. 2023 წელს კი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა გამოსცა ლილი გვარამაძის წიგნი „ქართული ხალხური ცეკვა“.

▶ 5 გვ.

4 გვ.



რომელიც დიდი შენაძენია ქართული ქორეოგრაფიისთვის.

ქალბატონი ლილი სიცოცხლის ბოლო წლებში შეუდგა თავისი ნაშრომების ხელახლა გამოცემაზე ზრუნვას. მუშაობდა მათ ახალი მასალებით შევსე-

ბაზე, ტერმინოლოგიის დახვეწა-დაზუსტებაზე, ბეჭდავდა კიდევ მის ცალკეულ თავებსა და ნაწილებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ქალბატონი ლილის სიცოცხლეში წიგნის გამოცემა არ მოხერხდა. ხელოვნების დარგში ხანგრძლივი, ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის ელენე (ლილი) გვარამაძეს მინიჭებული აქვს რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, მედლებით, დიპლომებითა და სიგელებით. ასევე, არჩეული იყო თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

ლილი გვარამაძე გარდაიცვალა 1993 წლის 11 დეკემბერს; დაკრძალულია თბილისში. ის იყო ქართული კულტურის გამორჩეული მოღვაწე, რომელმაც უნიკალურად შეათავსა პრიმა-ბალერინის ბრწყინვალე კარიერა და მასშტაბური სამეცნიერო მოღვაწეობა. მისი ღვაწლი ნამდვილად ფასდაუდებელია და როგორც ქალს ქართულ ქორეოგრაფიაში უდავოდ ღირსეული ადგილი უჭირავს.

მარიამ ხარჩილავა

## ლატავრა ფოჩიანის როლი საშემსრულებლო ხელოვნებაში



1939 წლის 16 ივლისს ლენტეხის რაიონში, სოფელ ლექსურაში, ალექსანდრე ფოჩიანს ქალიშვილი შეეძინა. ფალიაშვილის ოპერა „ლატავრას“ გავლენით, მშობლებმა გოგონას ლატავრა დაარქვეს. შემდგომში სახელგანთქმულ მოცეკვავეს აღარც ახსოვდა, როდის აცეკვდა პირველად. 7 წლის იყო, პიონერთა სასახლეში რომ მიაბარეს ქორეოგრაფიულ წრეში, რომელსაც ჯერ ხელოვნების დამსახურებული მუშაკი ანტონ ჩიხლაძე, ხოლო შემდეგ რესპუბლიკის სახალხო არტისტი - რუბენ ჭოხონელიძე ხელმძღვანელობდა. სკოლა არ ჰქონდა დამთავრებული, ბუხუტი დარახველიძის თვითმოქმედი ანსამბლის სოლისტი რომ გახდა. შემდეგ ამ ანსამბლთან ერთად მოიარა მოსკოვის,

ვენის სტუდენტური, საერთაშორისო ფესტივალები, გახდა ლაურეატი, დაიმსახურა ოქროს და ვერცხლის მედლები, მაგრამ იგი ამ დროს უკვე სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო და თეთრ ქართულ კაბას მის ცხოვრებაში დღენიადაგ ენაცვლებოდა ექიმის თეთრი ხალათი. პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სხვაგან ჩაბარება არც უფიქრია - სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა.

დედა ექიმი ჰყავდა და ამ პროფესიისადმი იმთავითვე ამულაგნებდა ინტერესს. 1963 წელს ინსტიტუტი დაამთავრა და განაწილებით სოფელ მანავში წავიდა ამბულატორიის გამგედ. ლატავრა მკურნალობდა მთელ სოფელს, რთული ქირურგიული ოპერაციების გარდა, ყველაფერს თვითონ აკეთებდა. მალე კი თბილისში მოუწია წასვლა სოფლის ინტელიგენციის კონფერენციაზე. პირველ დღეს სოფლის ექიმი მოხსენებით წარსდგა კონფერენციაზე როგორც ექიმი, მეორე დღეს კი - კონცერტზე ცეკვა „ქართულით“. დარბაზში

6 გვ.

◀ 5 გვ.

აღმოჩნდა, ერთი ვერსიით, ნინო რამიშვილი, მეორე ვერსიით კი - ილიკო სუხიშვილი. დღეს ძნელია ზუსტად გარკვევა, ნინო რამიშვილმა იხილა ლატავრას „ქართული“ პირველად თუ ილიკო სუხიშვილმა, თითქოს, ყველაფერი ისეა, როგორც მითებში, არცაა გასაკვირი - აქ იწყება ლეგენდა სახელად „ლატავრა ფოჩიანი“...

ლატავრა „სუხიშვილებში“ მიიწვიეს. ის მანავს დაუბრუნდა, მაგრამ მალე, სამწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, მანავი დატოვა და 26 წლის ასაკში სუხიშვილების სოლისტი გახდა. ის, უკვე სახელგანთქმული მოცეკვავე, ქართულ ცეკვას მთელ მსოფლიოში პოპულარულს ხდის.

რეპერტუარები: „ქართული“, „ყარაჩოღელი“, „აჭარული“, „სიმდი“, „მთიულური“, „ხევსურული“, „ცეკვა დაირით“, „ნესტან-დარეჯანის ცეკვა“ (ქორეოგრაფიული დადგმა „ქაჯეთის აღება“), „ძველი თბილისის სურათები“; შესრულებული აქვს ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში არსებული ქალის ყველა პარტია. მისი ნაცეკვი „ქართული“ იმთავითვე იქცა ლეგენდად - თავად ნინო რამიშვილი აცხადებს, რომ „ქართულს“ ლატავრა მასზე უკეთ ცეკვავს... „მისი დუეტი ფრიდონ სულაბერიძესთან მარად დარჩება სიცოცხლისა და სილამაზის, ქალისა და ვაჟის ურთიერთმოკრძალების, ატაცებული ტრფიალების სიმბოლოდ - წერს ნელი გაბრიჩიძე, - ვასო გოძიაშვილი კი ჩვეული აღმაფრენით აცხადებს „ფოჩიანი რომ მეცეკვოს, ფრიდონივით მეც დავუვლი“.

„ჩემს თაობაში ქართულს ლატავრა ფოჩიანზე უკეთ ვერავინ ცეკვავდა. ის იყო განუმეორებელი. ვერც ერთი „ვარსკვლავი“, ვერცერთი „მთვარე“ და ვერცერთი „მზე“ მას ვერ შეედრება. ის არის ცისარტყელა - შვიდფერი და შვიდნაირად დახატული“ - გივი სიხარულიძე. ის იქცა შთაგონების წყაროდ, უძღვნიდნენ ლექსებს, ხატავდნენ. კორნელი სანაძე ქმნის ნახატებს - „ცისფერი ლატავრა“, „ლატავრა დაირით“, ესმა ონიანი ხატავს ფერწერულ ტილოს „ლატავრა“. მის ცეკვას იღებდნენ მხატვრულ თუ დოკუმენტურ ფილმებში: „შეხვედრა მთაში“, „ტრიუმფი ლა-სკალაში“ და სხვა. საკავშირო ტელევიზიის დაკვეთით 80-იანი წლების დასაწყისში გადაიღეს ფილმი „ცეკვავს ლატავრა ფოჩიანი“... და, ამ დროს, დიდების ზენიტში, 43 წლის მოცეკვავე ტოვებს სცენას, იგი მანამდე სამჯერ წავიდა სუხიშვილებიდან. ერთხელ აგორებული ინტრიგის გამო, მეორედ - გათხოვების გამო, მესამედ - საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობის გამო და სამივეჯერ დააბრუნა ნინო რამიშვილმა. ბოლოს კი ვეღარ შეძლო მისი დაბრუნება - ლატავრა ფოჩიანი არ წასულა სუხიშვილებიდან, ის წავიდა საერთოდ სცენიდან.



„მოცეკვავემ იმ დროს უნდა დატოვოს სცენა, როცა ჯერ კიდევ აღტაცებაში მოჰყავს პროფესიული მაყურებელი“ - თქვა მან. 1982 წელს გამოსამშვიდობებელი საღამო მოუწყვეს. ფალიაშვილის „მირზაის“ ჰანგები, იხსნება ფარდა, ჩაბნელებულ სცენაზე ერთ მოძრავ სხივქვეშ „ფრესკად ქცეული, იასამნისფერ კაბაში გამოწყობილი ცეკვის დედოფალი იხილეს დაირით ხელში, თითქოს, წვიმა წამოვიდაო, ისე იქუხა სმენადქცეული დარბაზიდან ტაშმა. არა, ეს ცეკვა არ იყო... ეს იყო არაჩვეულებრივი ფრესკული სინატიფის, სიკვლეუცის განსახიერება, მკაფიო ორნამენტული პოზების ხშირი მონაცვლეობით“ - წერდა გულიკო მამულაშვილი.

სუხიშვილებმა „გინდ მეძინოს“ ჰანგებზე გააცილეს, ყარაჩოღელებით, ანთებული ჩირაღდნებით. „ჩაბნელებული სცენის შუაგულში ალისფერკაბიანი ლატავრა ამობრწყინდა - ეს სცენა ატმის კვირტების აფეთქებასა და გაზაფხულის მზის ამოსვლას მოგაგონებდათ“ - წერდა „თეატრალური მოამბე“.

„ვუყურებ და გული მეწურება. მას დიდხანს, დიდხანს შეეძლო ეცეკვა“ - წერდა ნელი გაბრიჩიძე. სახალხო არტისტი და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ლატავრა ფოჩიანი მთლიანად მედიცინას, მეცნიერებას დაუბრუნდა. მანამდე წლობით ასე იყო - დილიდან პირველ საათამდე - ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტის კიბერნეტიკული მედიცინის განყოფილებაში მუშაობდა, 2 საათიდან 7-მდე და გვიან ღამემდეც - რეპეტიციაზე... ტკბილეულის ტრფიალი „საბალეტო მინიმუმს“ სჯერდებოდა - წუწუნის გარეშე, მაგრამ შემდეგში ამ ყველაფერმა კვალი დაატყო მის ჯანმრთელობას, იძულებული გახდა, მედიცინას, მეცნიერებასაც ჩამოშორებოდა, ხელი აეღო სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე.

ინა ინასარიძე

# TIME OF THE GYPSIES (ბოშათა ჟამი) UNDERGROUND (იატაკქვეშეთი)



ფილმი „ბოშათა ჟამი“ 1988 წელს გადაიღო რეჟისორმა ემირ კუსტურიცამ. ფილმი ახალგაზრდა ბოშა კაცის, პერჰანის, ცხოვრებას მოგვითხრობს, რომელსაც აქვს ტელეკინეტიკური ძალა. იკვლევს მის გამოცდილებას სიყვარულთან, დანაშაულთან და ღალატთან დაკავშირებით ბოშურ საზოგადოებასა და სამყაროში.

ფილმში კარგადაა ნაჩვენები ბოშა ხალხის იდენტობა და ბრძოლისუნარიანობა, მათი ტრადიციები და შეტაკებები თანამედროვე საზოგადოებასთან. სიუჟეტი ფოკუსირებულია პერჰანის ოჯახისა და ბოშა თემის დინამიკაზე, ხაზს უსვამს ლოიალობას, ღალატსა და თაობათა კონფლიქტს. რეჟისორი იყენებს სიურრეალისტურ მიმდევრობებს მთავარი გმირის შინაგანი არეულობისა და ემოციური მოგზაურობის გადმოსაცემად. ფილმი ენერგიული და ფერადი კინემატოგრაფიის ნიმუშია, ასახავს ბოშურ კულტურასა და იუგოსლავიის პეიზაჟებს.

ამავე რეჟისორის მეორე ფილმი „იატაკქვეშეთი“ 1995 წელს გამოვიდა. ეს უკანასკნელი მოგვითხრობს ორი მეგობრის, მარკოსა და ბლეკის, ცხოვრებაზე, მათ მონაწილეობაზე ნაცისტური წყობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ფილმში განხილულია მეგობრობისა და ღალატის რთული დინამიკა პოლიტიკური აჯანყებისა და პირადი ამბიციების ფონზე. ჩვენ ვხედავთ გრანდი-

ოზულ და ქაოტურ სცენებს, რომლებშიც ასახულია ომისა და მისი შემდგომი პერიოდის ყოველდღიურობა ექსტრავაგანტური სცენებითა და მსახიობების სიჭარბით.

რეჟისორი იყენებს სიმბოლურ გამოსახულებებს და მეტაფორებს, რათა ხაზი გაუსვას თხრობაში ჩადებულ პოლიტიკურ და სოციალურ კომენტარებს. „ბოშათა ჟამი“ ყურადღებას ამახვილებს ბოშების თემზე იუგოსლავიაში, იკვლევს მათ ტრადიციებსა და ბრძოლას ცვალებად საზოგადოებაში.

ზემოხსენებული ფილმი „იატაკქვეშეთი“ მოიცავს იუგოსლავიის ისტორიის რამდენიმე ათწლეულს, აქ გამოყენებულია ალეგორია პოლიტიკური იდეოლოგიებისა და ისტორიული მოვლენების გასაკრიტიკებლად მეორე მსოფლიო ომიდან იუგოსლავიის დაშლამდე.

„ბოშათა ჟამი“ აერთიანებს ჯადოსნურ რეალიზმს ცოცხალ ვიზუალურ სტილთან, ხაზს უსვამს გმირის შინაგან კონფლიქტებსა და კულტურულ იდენტობას. ფილმში „იატაკქვეშეთი“ კი რეჟისორი იყენებს უფრო ეპიკურ და სატირულ მიდგომას, სიმბოლურ გამოსახულებებს ისტორიული და პოლიტიკური აჯანყების გამოსახადა.

„ბოშათა ჟამი“ იკვლევს იდენტობის, ოჯახური ლოიალობისა და ტრადიციასა და თანამედროვეობას შორის შეჯახების თემებს, ფოკუსირებულია პიროვნულ და კულტურულ ტრანსფორმაციაზე.



„იატაკვეშეთი“ კონცენტრირებულია პოლიტიკურ ალეგორიაზე, აერთიანებს მეგობრობის, ღალატისა და პოლიტიკური იდეოლოგიებით იმედგაცრუების თემებს, რაც ასახავს იუგოსლავიის უფრო ფართო ისტორიულ და სოციალურ ცვლილებებს.

საბოლოოდ, ორივე ფილმი ემირ კუსტურიცას გამორჩეულ ვიზუალურ სტილსა და თემატურ საზრუნავს ასახავს. თითოეული მათგანი გვთავაზობს უნიკალურ პერსპექტივას სოციალურ ცვლილებებსა და პიროვნულ ბრძოლაზე იუგოსლავიის ღრმად ფესვგადგმული კულტურისა და ისტორიის

კონტექსტში. ისინი ავსებენ ერთმანეთს, აჩვენებენ ემირ კუსტურიცას, როგორც კინორეჟისორის, მრავალმხრივობასა და სიღრმეს; უზრუნველყოფენ იუგოსლავიის წარსულისა და აწმყოს კონტექსტში იდენტობის, თემისა და სოციალურ-პოლიტიკური დინამიკის სირთულეების მდიდარ, მრავალმხრივ გაგებას. ორივე ფილმში გამოყენებულია მუსიკა, სიმბოლიკა და რთული კინემატოგრაფია თხრობის გასაუმჯობესებლად, რაც ხაზს უსვამს კუსტურიცას ოსტატურობასა და შემოქმედებით ხედვას.

მაგდალინა ნიკოლივიჩილი

## რეცენზია ფილმზე „მიფრინავენ წეროები“

ვიზუალური და ემოციური თხრობის ოსტატი, მიხეილ კალატოზიშვილი, ფილმში „მიფრინავენ წეროები“ (1957) ქმნის მართლაც რომ ტრაგიკულ, მაგრამ, ამავე დროს, პოეტურ სურათს, რომელიც მაყურებლის გულში რჩება, როგორც სიყვარულის ისტორია და დანაკარგის, ომისა და ბედის გარდაუვალობის ღრმა ალეგორია. ამ ფილმმა, რომელიც საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ნიმუშად იქცა, კანის ფესტივალის მთავარი ჯილდო დაიმსახურა, რაც, ასევე, ხაზს უსვამს მის უნიკალურ ღირებულებას. ფილმი არა მხოლოდ დრამატიზმითაა გამორჩეული, არამედ დიდებული ვიზუალური ჰარმონიით, რომელშიც თითოეული კადრი, თითქოს, ტკივილითა და ვნებით სავსე ფერწერის ნიმუშია.

ფილმის მთავარ გმირებად გვევლინებიან ვერონიკა და ბორისი. მათი სიყვარული პირველსავე

წუთებში გვეჩვენება ერთობ ჩვეულებრივად - თბილი, ნათელი, იმედით სავსე. მაგრამ ყველაფერს ცვლის საშინელი ამბავი: ბორისი ფრონტზე გაემგზავრება, რის შემდეგაც ფილმში ჩნდება დანაკარგის ტრაგედია, დანგრეული ოცნებები და შედეგად - სამყაროში, სადაც ყველაფერი ინგრევა, ცხოვრების აზრის ძიება. ვერონიკა ცდილობდა, შეენარჩუნებინა სატრფოსთან დაკავშირებული ნაზი მოგონებები, მაგრამ ცხოვრებამ მას ამის საშუალება არ მისცა.

„მიფრინავენ წეროები“ არის ერთგულებისა და სიყვარულის ოდა, თუმცა, ამავე დროს, პირადი ბედის ნგრევის ტრაგიკული სურათი, რომელიც დიდი სამამულო ომის ფონზე ვითარდება. ყველაფერი, რაც ომთანაა დაკავშირებული, განმსჭვალულია



დანაკარგის მეტაფორით: მიდის არა მხოლოდ ბორისი, არამედ – მშვიდობიანი ცხოვრებაც, იკარგება იმედი და მას დაუნდობელი რეალობა ენაცვლება, რომელშიც ყველაზე ნათელი წამი სასტიკმა დანაკარგმა შეიძლება ჩააქროს. ვერონიკა დიდ ტკივილსა და ტანჯვას განიცდის, იგი საკუთარმა სამყარომ დაატყვევა, იქ, სადაც მისი სიყვარული, როგორც წეროები, „მიფრინავენ იქ, სადაც ის არ არის“.

კალატომბიშილის ფილმი სავსეა სიმბოლოებით. რეჟისორი წეროების ხატს იყენებს როგორც თავისუფალი, მოუხელთებელი არსებისა, რომელიც სიყვარულისკენ მიიღტვის, რომელიც ისევე, როგორც ცხოვრება, ხელიდან მარტივად სხლტება და ამდენადვე არაპროგნოზირებადია. წეროები „მიფრინავენ, მაგრამ აღარ დაბრუნდებიან“ – სწორედ ეს არის მთავარი სათქმელი ვერონიკას ტრაგედიისა, ხოლო უფრო ფართო გაგებით – თავად ომის ტრაგედიისა, რომელიც ყოველ ადამიანს შეეხო. ნათლად გვიჩვენებს ამ სიმბოლიზმს კადრი, რომელშიც ვერონიკა ცას აღაპყრობს მხერას. ფილმის თითოეული კადრი განსაკუთრებული ატმოსფეროთი განმსჭვალული ხელოვნების ნიმუშია. კამერა, თითქოს, არა მხოლოდ მოვლენებს აფიქსირებს, არამედ განიცდის კიდევაც მათ, გადმოგვცემს გმირთა გრძნობებს შუქჩრდილებით და კადრთა რიტმით. ოპერატორი სერგეი ურუსევსკი კადრთა განსაკუთრებულ ვიზუალურ რიგს ქმნის, რომელშიც თითოეულ ელემენტს თავისი ემო-

ციური დანიშნულება აქვს. მკაცრი სიმეტრია და მოულოდნელი რაკურსები, განსაკუთრებით სასოწარკვეთილი განცდებით სავსე სცენებში, დაუსრულებელ წნეხს გვაგრძნობინებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია მუსიკალური გაფორმება. კომპოზიტორმა მატევი ბლანტერმა ერთობ მიმზიდველი და გულში ჩამწვდომი მუსიკა შექმნა ფილმისთვის, რამაც უფრო გააძლიერა მისი ვიზუალური მხარე და პერსონაჟთა განცდების აღქმა.

მსახიობთა დიდებულმა თამაშმა კიდევ უფრო განამტკიცა რეჟისორის მიდგომის უნიკალურობა. ტატიანა სამოილოვა ვერონიკას როლში ოსტატურად გადმოგვცემს მსხვერპლის სახეს, მისი მხერა ყოველ კადრში სავსეა სევდითა და იმედით. იგი ორგანულად გრძნობს თავისი გმირის ემოციებს და ამისთვის არ სჭირდება ხმამაღალი და ნათელი შესტების გამოყენება. მისი ჩუმი, მშვიდი, მაგრამ, ამავე დროს, ძლიერი თამაში მის სახეს უფრო ცოცხალს და დინამიკურს ხდის.

კალატომბიშილის ფილმი „მიფრინავენ წეროები“ მარად აქტუალური რჩება, ვინაიდან წამოწეულია საკითხები, რომლებიც ადამიანს ყოველ დროსა და ეპოქაში აწუხებს: სიყვარული და სიკვდილი, დაკარგვა და პოვნა, ომი და მშვიდობა. სურათი მაყურებელში ბადებს კითხვას – რა რჩება, როდესაც ყველაფერი ინგრევა: სიყვარული, მოგონება თუ მხოლოდ სიცარიელე?

დიანა მიქელაძე